სად გაქრა დინოზავრი?

გაიხსენე, რა იცი დინოზავრების შესახებ. რატომ არ არიან ისინი დღეს? წაიკითხე ტექსტი და გაეცანი მოსაზრებებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

დინოზავრზე ბევრი რამ არის ცნობილი. ვიცით, რომ უამრავი სახეობის დინოზავრი არსებობდა. ზოგი მათგანის სიმაღლე 25 მ იყო, ზოგის – 60 სმ. ზოგი ბალახს ჭამდა, ზოგი – ხორცს. მათ 165 მილიონი წელი იარსებეს. 65 მილიონი წლის წინ **გადაშენდნენ.** მათმა **ნაშთმა** კი დღემდე მოაღწია. ესენია: დინოზავრის ძვალი, კბილი, ნაფეხური... ასე გავიგეთ, როგორი იყო დინოზავრი, როდის და სად ცხოვრობდა იგი.

რატომ გაქრა ეს უზარმაზარი არსება? ამ საკითხზე რამდენიმე მოსაზრება არსებობს. თუმცა **ზუსტი** პასუხი არ გვაქვს. ზოგი მეცნიერი თვლის, რომ მიზეზი იყო ვულკანის ფერფლი. მან დაფარა მიწა. ფერფლმა დაფარა მცენარეები. ამიტომ დინოზავრებს საკვები აღარ ჰქონდათ და **დაიხოცნენ**.

ზოგის აზრით კი, მიზეზი ასტეროიდია. ის დედამიწას დაეჯახა. ასე გაჩნდა მტვრის სქელი ფენა. მტვრის ღრუბელი ცაში ავიდა და მზეს აეფარა. ამის გამო მზის სხივებმა ვერ გაათბეს დედამიწა. ამ დროს ძალიან აცივდა. სწორედ ძლიერი ყინვის გამო დაიღუპნენ დინოზავრები.

ზოგი იმასაც ამბობს, რომ ისინი რაღაც დაავადებამ **გაანადგურა**. ამ აზრს ბევრი არ ეთანხმება. **კვლევა** კი ისევ გრძელდება. იმედია, ზუსტ პასუხს მალე იპოვიან.

დინოზავრების გაქრობის შესახებ ტექსტში გამოთქმული რომელი მოსაზრებაა შენთვის უფრო მისაღები? რატომ?

დონე: A გამართული, **კომპონენტი:** ფაქტი და მოსაზრება

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 პირველი აბზაციდან ვიგებთ:

ა) რა გახდა დინოზავრების გადაშენების მიზეზი.

ბ) რამდენი ხნის წინ გაქრნენ დინოზავრები.

გ) სად აღმოაჩინეს პირველად დინოზავრის ნაშთი.

2 რომელი წინადადება გადმოსცემს მოსაზრებას?

ა) ზოგი დინოზავრი ხორცს ჭამდა, ზოგი – ბალახს.

ბ) დინოზავრები, ალბათ, რომელიმე დაავადებამ გაანადგურა.

გ) დედამიწაზე უამრავი სახის დინოზავრი არსებობდა.

3 რომელია ფაქტი?

ა) ზოგი ვარაუდობს, რომ დინოზავრები დაავადების გამო დაიხოცნენ.

ბ) როგორც ვიცით, არსებობდნენ სხვადასხვა ზომის დინოზავრები.

გ) ფიქრობენ, რომ დინოზავრების დაღუპვა ვულკანმა გამოიწვია.

4 ტექსტში *<u>არ ჩანს:</u>*

ა) რა ზომის ასტეროიდი დაეჯახა დედამიწას.

ბ) რის გამო დაიწყო დედამიწაზე დიდი ყინვები.

გ) როგორ შეეძლო ვულკანს დინოზავრების განადგურება.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. დინოზავრები 65 მილიონი წლის წინ **გადაშენდნენ**.
   ა) გადასახლდნენ. ბ) გაქრნენ. ბ) შეიცვალნენ.

2. დინოზავრების **ნაშთმა** დღემდე მოაღწია. **ნაშთი** არის ის, რაც:
   ა) რაღაცისგან დარჩა. ბ) ყველაზე მეტია. გ) ძალიან საინტერესოა.

3. ამ საკითხზე **ზუსტი** პასუხი გვაქვს.
   ა) ერთადერთი სწორი.
   ბ) ყველაზე საინტერესო.
   გ) ძალიან მნიშვნელოვანი.

4. ისინი მალე დაიხოცნენ. **დაიხოცნენ** ნიშნავს, რომ:
   ა) ბევრი გადასახლდა. ბ) ბევრი დაიკარგა. გ) ბევრი მოკვდა.

5. დაავადებამ **გაანადგურა** დინოზავრები.
   ა) დააშინა. ბ) მოსპო. გ) შეცვალა.

2 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.

დინოზავრები გაქრნენ 65 მილიონი წლის ---------- . **(წინ / უკან)**

▶▶▶ გრამატიკა

1 რომელი სიტყვაა გამოტოვებული?

ვულკანის ---------- დაფარა მიწა.

ა) ფერფლი. ბ) ფერფლმა. გ) ფერფლს.

2 შეარჩიე სწორი ფორმა.

1. გაჩნდა ---------- სქელი ფენა. ***(მტვერის / მტვრის)***
2. სითბომ დედამიწამდე ვერ მოაღწია სქელ ---------- გამო.

(ღრუბლის/ღრუბელის)

გრამატიკა

3 რომელია არასწორი?

ა) რამდენიმე მოსაზრებები. ბ) მრავალი წელი. გ) ზუსტი პასუხები.

4 დაწერე გამოტოვებული სიტყვები საჭირო ფორმით.

მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
ძვალი ღრუბელი ---------- მოსაზრება	*ძვლები* ---------- მცენარეები ----------

წერა

1 დაწერე ტექსტში დასახელებული ფაქტი და მასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ის მოსაზრება, რომელიც შენთვის უფრო მისაღებია.

ფაქტი: ----------

მოსაზრება: ----------

---

2 წარმოიდგინე, რომ აღმოაჩინეს ახალი სახეობის დინოზავრი. დახატე იგი, ისაუბრე მის თვისებებზე (სად ცხოვრობდა, როგორ იკვებებოდა...). **გამოთქვი მოსაზრება, რატომ გადაშენდა იგი.**